საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 16-ბ „02" 05 2018 წ.

ქ. თბილისი

§ 1

საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე, 61-ე მუხლებით და III თავით - ინფორმაციის თავისუფლების შესახებ - გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის საფუძველზე უზენაეს სასამართლოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრნველყოფაზე და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პროფესიულ საჯარო მოხელეებად (შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემასთან მიმართებით) დადგინდნენ:

1. სასამართლოს მენეჯერი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

2. სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე;

3. კომუნიკაციისა და კოორდინაციის ხელმძღვანელი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე;

4. სამართლებრივი მხარდაჭერის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

5. სამართლებრივი მხარდაჭერის ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

6. სამართლებრივი მხარდაჭერის სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

II. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის 10.07.2017 წლის №19-ს §2 ბრძანება „საქართველოს უზენაეს სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ";

III. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების საკადრო ადმინისტრირების მთავარ სპეციალისტს - ნინელი ზუბიაშვილს აღნიშნული ბრძანება გააცნოს შესაბამის დაინტერესებულ პირებს;

IV ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;

V. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი № 6).

ნინო გვენეტაძე